განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ევროპის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 22.02.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 13.04.2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ევროპის უნივერსიტეტი - კერძო სამართლის იურიდიული პირი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	2019549856
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საერთაშორისო ურთიერთობები International Relations
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი Bachelor of International Relations
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები, 0312
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია)	ავტორიზებული; გადაწყვეტილება No121, 07.08.2015

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფავლენიშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ფიქრია ასანიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გვანცა ძიძიგური, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

წარმოდგენილმა საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამამ პირველად აკრედიტაცია მიიღო 2015 წლის 7 აგვისტოს No.121 გადაწყვეტილებით.
პროგრამამ არსებობის მანძილზე განიცადა არაერთი ცვლილება, რომლის მიზანი იყო, გამხდარიყო რაც შეიძელება ინტერდისციპლინური და გაძლიერებულიყო პრაქტიკული კომპონენტებით. დასახული მიზნის შესასრულებლად, 2019 წელს რექტორის ბრძანების თანახმად, შეიქმნა პროგრამის კომიტეტი, რომლიც დაკომპლექტდა საერთაშორისო ურთიერთობების, უსაფრთხოების, ევროპათმცოდენობისა და აღმოსავლეთმცოდნეებით. ჯგუფს დაემატნენ ეკონომისტები და სამართლის სპეციალისტები, რადგან გადაწყდა პროგრამის ინტერდისციპლინურობა გამრავალფეროვნებულიყო ეკონომიკისა და სამართლის მიმართულებებითაც.

კომიტეტის მუშაობის შედეგად, პროგრამას დაემატა საერთაშორისო ეკონომიკის, საერთშორისო სამართლის, პოლიტიკური ფილოსოფიის, უსაფრთხოების, საგარეო პოლიტიკისა და სხვა კურსები. სხვა საერთშორისო მიმართულების კურსების ჩამონათვალში გაჩნდა ორი კურსი, *მწვანე ეკონომიკა* და *ჰიბრიდული ომები,* თანამედროვე ტენდენციებისა და სფეროს მოთხოვნებისა თუ გამოწვევების გათვალისწინებით. პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტების პრაქტიკული პროფესიული უნარების განვითარებას, ამიტომ პროგრამის გეგმაში აისახა პრაქტიკული საგნებიც. ამავდროულად, მოხდა უკვე არსებული კურსების შინაარსის, ლიტერატურის, სწავლებისა და შეფასების მეთოდების გადახედვა და განახლება.
პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს გაეროს 6 სამუშაო ენას, თუმცა, პრიორიტეტი ენიჭება ინგლისურს. ენას გაძლიერებულად ასწავლიან პირველივე კურსიდან, რათა მეორე წლისთვის სტუდენტის ინგლისური ენის დონე შეესაბამებოდეს B2 და შეძლოს სასწავლო კურსებში მითითებული ინგლისურენოვანი ლიტერატურის წაკითხვა და გაანალიზება.
ცვლილებების პროცესში მოხდა პროგრამში დამატებული თუ განახლებული კურსების განხორციელებისათვის ახალი პერსონალის მოზიდვა.

საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) მიხედვით. სწავლის ხანგრძლივობა 4 წელია (8 სემესტრი) და მოიცავს 240 კრედიტს. ძირითადი სწავლის სფეროს 181 კრედიტის კომპონენტიდან, 145კრედიტი გაწერილია სავალდებულო საგნებზე, 36 ძირითადი სწავლის

სფეროს არჩევით კომპონენტებზე მოდის. პროგრამაში გათვალისწიებულია სავალდებულო თავისუფალი კომპონენტი 49 კრედიტით და 10 არჩევითი თავისუფალი კრედიტი ზოგადი/ტრანსფერული უნარების გასავითარებლად.

პროგრამა აგებულია იმგვარად, რომ სტუდენტს მისცეს საბაზისო ცოდნა, როგორც დარგის ძირითადი სფეროს მიმართულებით, ასევე შეუქმნას მყარი საფუძველი, როგორც ეკონომიკის, ასევე სამართლის მიმართულებითაც. ამასთან პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი უნდა ფლობდეს ინგლისურს B2 დონეზე და მეორე უცხო ენას სულ მცირე A1 დონეზე მაინც.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრეტაციის ვიზიტამდე ორჯერ შედგა ჯგუფის შეხვედრა. პირველ შეხვედრაზე მოხდა პროგრამის დოკუმენტებისა და სტანდარტების გადანაწილება; ხოლო მეორე შეხვედრაზე დიდი დრო დაეთმო დოკუმენტების დეტალურ განხილვა, კონკრეტულად, სილაბუსების შესწავლას და შეხედულებების შეჯერებას. მოხდა ინტერვიუებისათვის სავარაუდო კითხვების მონახაზის შედგენა.

ვიზიტი დაიწყო 22.02.2021-ში 10:00 საათზე. ვიზიტი მიმდინარეობდა ონლაინ (ზუმის პროგრამით). პირველ შეხვედრა შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან: რექტორი, ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი. საუბარი შეეხო პროგრამის მნიშვნელობას, როგორც უნივერსიტეტისათვის, ისე ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის. რექტორმა რამდენჯერმე გაიმეორა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე პროგრამას არ შეუძლია საკუთარი თავის ფინანსური უზრუნველყოფა, ამიტომ უსდ-ს ადმინისტრაცია მზადყოფნას გამოთქვამს თავად გამოყოს თანხები პროგრამის განხორციელებისათვის, რადგამ თვლიან, რომ პროგრამას აქვს პოტენციალი და გრძელვადიან პერსპექტივაში ის იქნება წარმატებული ფინანსურადაც.

მეორე შეხვედრის დროს აკრედიტაციის ჯგუფი გაესაუბრა თვითშეფასების ჯგუფის წევრებს: იურიდიული სამსახურის უფროსს, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის უფროსს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსს, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს, სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, პროგრამის კომიტეტის წევრს, საერთაშორისო ურთიერთობების

სამსახურის უფროსს, რომელიც ამავდროულად პროგრამის ხელმძღვანელია. ინტერვიუების დროს თვითშეფასების ჯგუფის წევრები შეეხნენ ჯგუფის მუშაობის სტილს, კონკრეტული წევრების უფლება-მოვალეობებს პროგრამის თვითშეფასების პროცესზე მუშაობისას.

ყველაზე ხანგრძლივი შეხვედრა შედგა პროგრამის ხელმძღვანელთან. საინტერესო იყო მისი ხედვები პროგრამის ინტერდისციპლინურობასთან მიმართებაში, თუ რატომ მოხდა პროგრამაში ეკონომიკისა და სამართლის კურსების დამატება, როგორ ხედავს ის პროგრამის მომავალ განვითარებას, რა ზომები იქნება მიღებული სტედენტების (აბიტურიენტების) მოსაზიდად და ა.შ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან (უსდ-ს და - სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის) შეხვედრისას აკრედიტაციის ჯგუფი გაეცნო აკადემიური პერსონალის შიდა და გარე შეფასების მექანიზმებს, სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტებს მათი ქმედითუნარიანობის შესაფასებლად.
ბიბლიოთეკის ზუმით დათვალიერებისას, რაც შესაძლებელი გახდა ზუმის screen-sharing-ის მეშვეობით, ბიბლიოთეკის დირექტორმა აჩვენა, თუ როგორ შეიძლება სასურველი წიგნის მოძიება, როგორ მოხდა ონლიან-რეჟიმზე გადაწყობა და სტუდენტების ეფექტური მომსახურება. აგრეთვე ნანახი იქნა, თუ როგორ ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის სისტემა და მუდლის სისტემა.

დღის მეორე ნახევარი დაეთმო შეხვედრებს აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან (5 დამსაქმებლიდან შეხვედრას დაესწრო მხოლოდ 3). შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტებმა იმსჯელეს ვიზიტზე, შეაფასეს მიგნებები და გაუზიარეს ისინი უსდ-ს წარმომადგენლებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- ვიზიტის, დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად მივიღეთ სტანდარტების შემდეგი შესაბამისობა:

- შესაბამისობაშია: 2.1, 2.2, 2.5, 2.6; 4.1, 4.2, 4.3, 4.4; 5.1, 5.2, 5.3

- მეტწილად შესაბამისობაშია: 1.1, 1.2; 2.3, 2.4; 3.1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ-ს არგუმენტირებულ პასუხს და იმსჯელა, რომელი რეკომენდაცია უნდა ყოფილიყო გაზიარებული. რეკომენდაცია, *დაკავშირებული ინგლისურ ენასთან*, საერთოდ იქნა ამოღებული; რეკომენდაცია, *ორი ლექტორიდან ერთი მაინც ყოფილიყო დოქტორანტი, რაც გააძლიერებდა პროგრამას,* გადავიდა რჩევაში, ხოლო მე-5 რეკომენდაციის გაზიარება მოხდა მხოლოდ ნაწილობრივ (არგუმენტი იხ. 2.3 სტანდარტში). ექსპერტთა ჯგუფმა ერთხმად გადაწყვიტა სხვა რეკომენდაციები დარჩენილიყო ძალაში. რეკომენდაციის გასწვრივ bold შრიფტით ფრჩხილებში განმარტებულია არგაზიარების არგუმენტ(ებ)ი.

- **რეკომენდაციები:**

1. კომპლექსური და მძლავრი სტრატეგიის წარმოება პოტენციური სტუდენტების მოსაზიდად; (**უსდ-ში ვიზიტისას დეკანის არყოფნის მიზეზად დასახელდა მისი და სხვა თანამშრომლების გასვლა რეგიონებში სტუდენტების მოსაზიდად. ჯგუფმა მიიჩნია, რომ მხოლოდ ერთი მიმართულებით მუშაობა ვერ შეძლებდა სიტუაციის გამოსწორებას. დეტალური ჩაძიების შემდეგ, დასახელდა სხვა სამომავლო გეგმები, რომელიც არ იყო კონკრეტული აქტივობების სახით გაწერილი. იმდენად, რამდენადაც პროგრამამ განახლების შემდეგ მიიღო მხოლოდ ცხრა სტუდენტი, აღნიშნული რეკომენდაცია დარჩა ძალაში ვიზიტის პერიოდში არსებული რეალობიდან გამომდინარე.**)

2. სწავლის აკადემიური შედეგების სემესტრული შეფასების ჩატარება გააიოლებს პრობლემის სწრაფად დადგენას, ზომების მიღებას და მის მოკლე დროში აღმოფხვრას; ამიტომ რეკომენდებულია 3-წლიანი დაკვირვების დრო შემცირდეს, რაც უფრო გაამარტივებს აღმოჩენილ პრობლემათან გამკლავებას; (**მართალია, დოკუმენტებით დასტურდება, რომ შეფასებები ხდება სემესტრულად, ხდება რეაგირებაც, მაგრამ პროცესზე დაკვირვება გრძელდება 3 წელი. ამიტომ რეკომენდაციის მიხედვით, სერიოზული ზომების მისაღებად 3 წელი დიდი დროა; 3 სემესტრიც კი სრულიად საკმარისია, შეფასდეს, რამდენად გამოსწორებადია სიტუაცია. 4-წლიანი საბაკლავრო პროგრამის პირობებში 3 წლის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილება, შეიძლება უსაგნოც კი აღმოჩნდეს იმ სტუდენტსათვის, რომელიც დაზარალდა (ესაა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დოკუმენტების შესწავლისა და ვიზიტის შემდგომ). უსდ-ს არგუმენტირებული პასუხი აღნიშნულ რეკომენდაციაზე ბუნდოვანი და წიააღმდეგობრივია).**

3. პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეფასებებით ვერ დგინდება სტუდენტთა გადინების რეალური მიზეზი. რეკომენდებულია სიღრმისეული შესწავლა, თუ რა განაპირობებს სტუდენტთა წასვლას - კურსების სირთულე, ინგლისური ენის მაღალ დონეზე მოთხოვნა, თუ სხვა რამ (**პროგრამა კარგავს სტუდენტებს, მაგ. ერთ წელს 40 სტუდენტიდან დარჩა 20; უსდ-მ გამოაგზავნა გადასული სტუენტების პასუხები კითხვაზე, თუ რატომ გადადიან სხვა უსდ-ში. დომინირებს პასუხი: უნივერსიტეტის არასახარბიელო მდებარეობა (უბანი) და სხვაგან უკეთესი განათლების მიიღების მოლოდინი (საკმაოდ ზერელე პასუხებია); სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებში გამოიკვეთა, რომ მათ უჭირთ ინგლისურენოვან მასლასთან გამკლავება; ზოგიერეთმა ლექტორმა კი აღნიშნა, რომ მათი პრიორიტეტი არაა ე.წ. დაბალი მოსწრების სტუდენტის შენარჩუნებაზე ზრუნვა. სწორედ იმის გამო, რომ ვერ დგინდება სტუდენტთა გადინების მიზეზი, ამიტომ შევთავაზეთ ზემოაღნიშნული რეკომენდაცია**);

4. სტუდენტების დაინტერესება საერთაშორისო პროგრამებით, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მოტივაციის გაძლიერება და სტუდენტების საერთაშორისო მობილობაში ჩართულობის გაზრდა; (**აღნიშნული რეკომენდაციაზე უსდ-სგან არგუმენტირებული პასუხი არ მიგვიღია.**)

5. მოხდეს მთელი რიგი სილაბუსების გადახედვა - სათაურების შეცვლა, ლიტერატურის შეცვლა/დამატება, თემების გადახედვა და გამრავალფეროვნება; (**არგუმენტი იხ. 2.3 სტანდარტში**).

6. ლიტერატურაში რიდერის მითითებისას, მიეთითოს კონკრეტულად რიდერში გამოყენებული ლიტერატურა; (**ძალიან მარტივია, სილაბუსში რიდერთან მითითებული ლინკის მეშვეობით მოხდეს რიდერზე გადასვლა; რაც გაადვილებს, როგორც სტუდენტისათვის რიდერზე ხელწვდომას, ისე ექსპერტისათვის ნახოს შეთავაზებული საკითხავი ლიტერატურა ავტორებით და გამოქვეყნების წლებით.**)

7. გამომდინარე იქიდან, რომ საბაკალავრო ნაშრომის შესრულება და დაცვა ჩადებულია პროგრამაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროგრამას დაემატოს კვლევის მეთოდების

საგანი სავალდებულო სტატუსით, რადგან ვერც აკადემიური წერის კურსი, ვერც საბაკალავრო ნაშრომის კურსი სათანადოდ ვერ უმუშავებს სტუდენტს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის უნარებს. (**აღნიშნული რეკომენდაციაზე უსდ-სგან არგუმენტირებული პასუხი არ მიგვიღია.**)

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

1. აკადემიური წერის ფარგლებში APA ან Chikago-ს სტილის შესწავლა;
2. სტუდენტებისათვის აპელაციის პროცედურის დეტალური გაცნობა;
3. მოხდეს სასწავლო პროცესი ელ-ბაზების აქტიური გამოყენება, განსაკუთრებით საბაკალავრო ნაშრომის შექმნისას;
4. სტუდენტთა მოტივირება, რათა სწავლის პროცესში, თუნდაც კონკრეტული კურსის ფარგლებში მცირე კვლევა ჩატარდება, რომლის მიმდინარეობისას მოხდება სტუდენტის მიერ საკონსულტაციო საათების გამოყენება;
5. სასურველია, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და და დამსაქმებლების წარმომადგენელთა ყოფნა კომიტეტში მუდმივი წევრის სტატუსით;
6. კონკრეტულად პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტის შექმნა, სადაც ცხადად იქნებოდა გაწერილი რა თანხას იძლევა უსდ და რაში იხარჯება აღნიშნული დახმარება;
7. კარგი იქნებოდა, გამოყენებული ყოფილიყო ის საერთაშორისო კავშირები, რომელის არამხოლოდ უსდ-ს, არამედ თავად პროგრამას აქვს და მომხდარიყო სხვა უცხოელ ექსპერტანაც გარე შეფასება;
8. სასურველი იყო ადგილობრივ დონეზე სხვა უნივერსიტეტებიდანაც ექსპერტების მოწვევა და მათი შეფასების ანალიზი;
9. სასურველია, პროგრამას დაემატოს სავალდებულო ან დარგის სასწავლო კურსების წამკითხავი 2 ლექტორიდან ერთი მაინც დოქტორანტის სტატუსით. აკადემიური საბაკალავრი პროგრამა სთავაზობს სტუდებტს თეორიულ, მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებულ საგნებს, ამიტომ ვთვლით, რომ აკადემიური პერსონალი სასურველია გაძლიერდეს სულ მცირე დოქტორანტებით მაინც.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- სტუდენტთა კარიერულ განვითარებასა და დასაქმებასთან დაკავშირებული ცენტრი - კონსულტანტი ატარებს კონსულტაციებს, იგეგმება და ხორციელდება სემინარების(workshop), რომელიც სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს ეხმარება CV-ების და სამოტივაციო წერილების შედგენაში. გასაუბრებამდე მათ უტარდებათ იმიტირებული გასაუბრება;
- უსდ-ს ადმინისტრაცია ფაკულტეტთან ერთად მოწოდებულია აკადემიური პერსონალის კვლიფიკაციის ასამაღლებლად გაატაროს მთელი რიგი მექანიზმები (სემინარები, საჯარო ლექციები, ტრენიგები, ფასიანი კურსები, ფინანსური ჯილდო, როგორც კველვაში ისე აკადემიურ საქმიანობაში). მექანიზმები ეფექტიანია და მიმართულია პროგრამის განხორციელების გაუმჯობესებისა და დახვეწისაკენ და სტუდენტებისათივს ხარიახიანად ცოდნის მისაწოდებისაკენ.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

განმეორებითი აკრედიტაციის პროცესში მოხდა პროგრამის სრული განახლება. პროცესში მოიაზრებოდა სილაბუსების გაახლება, ლიტერატური დამატება, მათ შორის თანამედროვე და ინგლისურენოვანი, მოხდა თემების გამრავალფეროვნება. პროგრამას დაემატა ეკონომიკური და სამართლის ბლოკი; მოხდა დამსაქმებელთა რჩევების გათვალისწინება და შეიქმნა ორი ახალი კურსი: მწვანე ეკონომიკა და ჰიბრიდული ომები.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო პროცესის მართვის სისტემა უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზანია, რომ პროგრამის კურსდამთავრებულებმა მიიღონ ევროპის საგანმანათლებლო სივრცისა და დასაქმების ბაზრის კვლევის შედეგად დადგენილი მოთხოვნების შესატყვისი აკადემიური ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში და სწავლის პროცესში შეიძინონ პროფესიული უნარები, რაც მათ მოეხმარება სრულფასოვნად შეასრულონ აღმასრულებელი თუ ანალიტიკური საქმიანობა პოლიტიკის შემქმნელ და წარმომადგენლობით პოზიციებზე. ამავდროულად, პროგრამა აგებულია იმგვარად, რომ სტუდენტს განუვითაროს მრავალმხრივი და მრავალდისციპლინური აზროვნება. საერთაშორისო ურთიერთობის სწრაფადცვალებადი გარემოსა და თანამედროვე გამოწვევების ანალიზისა და შეფასებისათვის სტუდენტს სწავლის დასრულების შემდეგ უნდა ჰქონდეს უნარი დაადგინოს წარმოქმნილი პრობლემები, სიღრმისეულად შეისწავლოს რისკები და გასცეს რეკომენდაციები მათი მოგვარებისათვის. პროგრამა მიზნად ისახავს ჩამოუყალიბოს და განუვითაროს სტუდენტებს სამოქალაქო პასუხისმგებლობა, აზიაროს დასავლურ დემოკრატიულ ღირებულებებს, გააცნოს და გაუზიაროს მორალური და ეთიკური ნორმები, რომელთა შეთვისება აუცილებელია მათი პროფესიული საქმიანობისათვის. ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად, რომელიც თანხმობაშია უსდ-ს მისიასთან, პროგრამა უნივერსიტეტთან ერთად მოტივირებულია შესთავაზოს სტუდენტს ხარისხიანი განათლება, მოამზადოს სპეციალისტები, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო დასაქმების ბაზრისთვის კვალიფიციური აკადემიური პერსონალის ჩართულობით და

კვლევითი თუ პედაგოგიური საქმიანობის ხელშეწყობით. აღსანიშნავია, პროგრამის კარგად განვითარებული ინტრნაციონალიზაციის სტრატეგია. პროგრამა მონაწილეობს ერაზმუსის პროგრამაში, მოგებული აქვს ჟან მონეს ორი გრანტი (განხორციელების პროცესში) და აქვს გაფორმებული მემორანდუმები ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტთან. მიუხედავად, შთამბეჭდავი ინტერნაციონალიზაციისა, საერთაშორისო გაცვლითი პროგრამი ისარგებლა მხოლოდ ერთმა სტუდენტმა. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ინტრვიუების დროს არ გამოხატეს დაინტრესება საერთაშორისო პროგრამებით. ამ მიმართულებით პროგრამის ხელმძღვანელმა და კომიტეტმა აქტურად უნდა იმუშაოს. აღსანიშნავია, რომ პროგრამიდან მოხდა სტუდენტების მნიშვნელოვანი რაოდენობით გადინება და შეზღუდვის მოხსნიდან პირველ წელს პროგრამამ მიიღო მხოლოდ 9 ახალი სტუდენტი. როგორც პროგრამის, ისე სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა და უსდ-ს ადმნისტრაციამ უნდა იზრუნოს ეფეტიანი პიარ-სტრატეგიის შემუშავებაზე, ერთის მხრივ და სტუდენტის შენარჩუნებაზე, მეორეს მხრივ. ვიზიტის დროს ფაკულტეტის დეკანი იმყოფებოდა რეგიონებში სკოლებში უფროსკლასელებთან შესახვედრად აღნიშნული პროგრამის გადაცნობად. კარგი ტაქტიკაა, თუმცა, ვთვლით, რომ მხოლოდ შემხვედრებით პიარ-სტრატეგიის დასრულება წარმატების მომტანი ვერ იქნება. პროგრამის გადახალისებისას გათვალისწინებული იყო ბაზრის კვლევის შედეგები და დამსაქმებლებთან თანამშრომლობისას მიღებული რჩევები. ეს მნიშვნელოვანია, რადგან უნდა შემუშავებულიყო დასაქმების ბაზრისთვის ისეთი პროფესიონალების შეთავაზება, რომელიც დააკმაყოფილებდა დამსაქმებელთა მოთხოვნებს. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია ევროპის უნივერსიტეტის ვებ- გვერდზე (https://eu.edu.ge/ge), როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების დოკუმენტი, • საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების დოკუმენტი, • დამსაქმებელთა მიერ პროგრამის შეფასების ანალიზი, • ბაზრის კვლევა საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამისათვის,

- პერსონალის განვითარების ღონისძიებები,
- პერსონალის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა,
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (https://eu.edu.ge/ge).

რეკომენდაციები:

კომპლექსური და მძლავრი სტრატეგიის წარმოება პოტენციური სტუდენტების მოსაზიდად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

Vმეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია პროგრამით დასახული მიზნების განხორციელებისათვის, რის შედეგადაც პროგრამამ უნდა უზრუნველყოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის, ბაკალავრიატის, შესაბამისი შედეგების მიღწევა.

სტუდენტი უნდა ფლობდეს ცოდნას საერთაშორისო სამართლის ძირითად სუბიექტებზე, იცნობდეს მნიშვნელოვან საერთაშორისო სახელშეკრულებო და ჩვეულებით ნორმებს; შეეძლოს განმარტოს მათი როლი საერთაშორისო მართლწესრიგის დაცვასა და განმტკიცებაში.

პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სტუდენტებისათვის ეკონომიკური ცოდნის მიცემას, როგორც კლასიკური ეკონომიკის, ისე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა თუ საერთაშორისო პოლიკ-ეკონომიკური სისტემების მიმართულებით.

სწავლის პროცესში სტუდენტი სწავლობს სახელმწიფო და საერთაშორისო დონის უსაფრთხოების პრობლემების იდენტიფიცირებას. კარგი იქნებოდა დაემატოს რეგიონალური დონეც.

ამავდროულად, სტუდენტს იღებს ცოდნას პოლიტიკის მეცნიერების საბაზისო კონცეფციებზე, ახდენს სხვადასხვა პოლიტიკური სისტემების შედარებას, სწავლობს პოლიტიკის თეორიებს. საერთაშორისო ურთიერთობის კურსების შესწავლისას, ყურადღება ეთმობა სამთავრობათაშორისო თუ სუპრანაციონალურ საერთაშორისო (მაგრამ არა რეგიონალურ, ევროკავშირის გარდა) პროცესებს; წამყვანი და პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკის შექმნის თავისებურებებს და აანალიზებს შიდა და საგარეო პოლიტიკის ურთიერთქმედება/ურთიერთდამოკიდებულებას.

თვითშეფასებაში გაწერილი სწავლის შედეგების ჩამონათვალი სასურველია დალაგდეს საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამის პრიორიტეტების მიხედვით: ჯერ ცოდნა და უნარების მიცემა საერთაშორისო ურთიერთობისა და უსაფრთხოების მიმართულებით და მხოლოდ ამის შემდგომ ეკონომიკისა და სამართლის თემებზე ყურადღების გამახვილება. მართალია, თვითშეფასების დოკუმენტი ეხება რეგიონალიზმის საკითხსაც, მაგრამ პროგრამის გეგმა და სილაბუსები ამას არ ადასტურებს. რეგიონალიზმი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ამიტომ სასურველია პროგრამამ ამ მიმართულებითაც მისცეს სტუდენტს ცოდნა.

სტუდენტებისათვის ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის გასავითარებლად, პროგრამის ფარგლებში სტუდენტს აცნობენ დასავლურ ღირებულებებს (ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, დემოკრატიული ღირებულებები, მოქალაქეთა ვალდებულებები და ა.შ). ამასთან სტუდენტი აცნობიერებს საერთაშორისო ურთიერთობებში ეთიკური და მორალური ნორმების დაცვის აუცილებლობას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შექმნილია სწავლის შეფასების რუკა კონკრეტული ინდიკატორებით და სამიზნე ნიშნულებით. შეფასების მეთოდოლოგია დამტკიცებულია ევროპის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 მარტის No.92 ბრძანებით. მეთოდოლოგიის თანახმად სწავლის შედეგების შეფასება მიმდინარეობს ორის მეთოდით:

შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირდაპირი მეთოდი. პირველი გულისხმობს სასწავლო კურსზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასებასა და ანალიზს ყოველწლიურად, თუმცა, სასურველია ასეთი შემოწმება ჩატარდეს სემესტრობრივად; პროცესი უკეთ გამოკვეთს პრობლემის/წარმატების დინამიკას და შესაბამისად, სწრაფად მოხდება რეაგირება პრობლემაზე. რეაგირება (ორეტაპიანია - მიზეზების კვლევა და სხვადასხვა კონკრეტული ზომების მიღება), აღნიშნული შეფასების მეთოდის მიხედვით, დგება 3-წლიანი დაკვირვების შედეგად, რაც მიგვაჩნია, რომ საკმაოდ დიდი დროა იმისათვის, რომ პრობლემა გაღრმავდეს და გართულდეს მისი მოგვარების პროცესი.

არაპირდაპირ მეთოდად გამოიყენება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები და მათი შედეგების ანალიზი. კურსდამთავრებულები აფასებენ დარგის საკუთარ ცოდნასა და უნარებს, ხოლო დამსაქმებლები კი მათთან დასაქმებული კურსდამთავრებულების პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის ეფექტიან გამოყენებას და სამუშაოსთვის საჭირო პრაქტიკულ უნარებს.

სწორედ, არაპირდაპირი შეფასების შედეგია ის, რომ პროგრამას დაემატა პრაქტიკული კურსები, მაგ. პროექტის წერა, საჯარო მეტყველება, სტრატეგიული დაგეგმარება და ა.შ.

სწავლის შედეგების შეფასების პროცესში ჩართული არიან პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის კომიტეტის წევრები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები, რაც მისასალმებელია და კარგი პრაქტიკაა. იმედია, პროცესი უფრო ეფექტიანად წარიმართება და დაადგენს, რა განაპირობებს პროგრამიდან სტუდენტების მნიშვნელოვანი რაოდენობით (თითქმის 50%) გადინებას, უკავშირდება თუ არა ეს პროგრამის ინგლისური ენის ცოდნის მაღალ დონეზე მოთხოვნას, კურსების სირთულეს თუ

სხვა რაიმე ფაქტორს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, და პროგრამის დანართები, • საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები, • საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია, • დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები, • თვითშეფასების დოკუმენტი, • სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი.
რეკომენდაციები: • სწავლის აკადემიური შედეგების სემესტრული შეფასების ჩატარება გააიოლებს პრობლემის სწრაფად დადგენას, ზომების მიღებას და მის მოკლე დროში აღმოფხვრას; ამიტომ რეკომენდებულია 3-წლიანი დაკვირვების დრო შემცირდეს, რაც უფრო გაამარტივებს აღმოჩენილი პრობლემათან გამკლავებას. • პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეფასებებით ვერ დგინდება სტუდენტთა გადინების რეალური მიზეზი. რეკომენდებულია სიღრმისეული შესწავლა თუ რა განაპირობებს სტუდენტთა წასვლას - კურსების სირთულე, ინგლისურ ენის მაღალ დონეზე მოთხოვნა თუ სხვა რამ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან V მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		V		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს საერთაშორისო ურთიერთობის საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა; მიღების მოთხოვნები პროგრამის მსურველ აბიტურიენტებთან მიმართებაში საჯაროა; ინფორმცია მისაღებ პროცედურებსა და მოთხოვნებზე ხელმისაწვდომია, რაც ადვილებს მსურველთათვის გადაწყვეტილების მიღებას. საბაკალავრო პროგრამა მოთხოვს აბიტურიენტებისაგან სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ ან მასთან გათანაბრებულ დოკუმენტს და ერთიან ეროვნული გამოცდებში მიღებული ქულების კონკრეტულ რანგს. პროგრამაზე მოსახვედრად აბიტურიენტმა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჩააბაროს ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და ერთ-ერთი შემდეგი საგანი: ისტორია ან

მათემატიკა. რა თქმა უნდა, მან უნდა შეძლოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა.

პროგრამაზე მიიღებიან ის ადამიანები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის No224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. თუმცა, მათ უნდა დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.

პროგრამაზე ფუნქციონირებს როგორც შიდა, ისე გარე მობილობის მექანიზმი. ის დასაშვებია წელიწადში ორჯერ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მიღებულ ვადებში და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე მიღების პირობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ევროპის უნივერსიტეტის ქართულ და ინგლისურენოვან ვებ-გვერდზე - https://eu.edu.ge/ge.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი,
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკნთანთან, მონიტორინგის ცენტრის ხელმღვანელთან,
- ევროპის უნივერსიტეტის ქართულ და ინგლისურენოვან ვებ-გვერდზე - https://eu.edu.ge/ge.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარებაში მონაწილეობას იღებს აღნიშნული უნიერიტეტების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები (ადმინისტრაცია, ხარისხის სამსახური, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, კომიტეტი და ა.შ.), პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი და ლექტორები.

პროგრამა გრძელდება 8 სემესტრი (4 წელი) და მოიცავს 240 კრედიტს. აქედან 181 (145 სავალდებულო და 36 არჩევითი) კრედიტი განკუთვნილია სწავლის ძირითადი სფეროს კომპონენტებზე. პროგრამაში გათვალისწინებულია 49 კრედიტის სავალდებულო თავისუფალი კომპონენტი (ზოგადი და ტრანსფერული უნარების გასავითარებლად) და 10 არჩევითი თავისუფალი კომპონენტი.

სწავლის პერიოდში სტუდენტის დატვირთვაში შედის საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო და გულისხმობს ლექციებს, სემინარებს, შუალედურ და ფინალურ გამოცდებს და პრაქტიკულ სამუშაოს; გათვალისწინებულია სწავლების ელექტრონულ ფორმატიც.

სწავლის პერიოდში ზოგიერთი (ძირითადად ყველა მეორე კურსიდან) სასწავლო კურსები იყენებს როგორც ქართულ, ისე ინგლისურენოვან თანამედროვე ლიტერატურას. შესაბამისად, სტუდენტის ინგლისური ენის ფლობის დონე უკვე უნდა შეესაბამებოდეს B2

დონეს. თუ სტუდენტი ვერ აღწევს აღნიშნულ შედეგს, ის აგრძელებს ინგლისური ენის შესწავლას სხვა სავალდებულო კურსის გადავადების ხარჯზე. როგორც უკვე აღინიშნა, პროგრამა ახლახან განახლდა. შეიქმნა კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონაის წარმომადგენლები. ჯგუფში არაა წარმოდგენილი სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი. პროცედურის მიხედვით, ჩატარდა სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა პროგრამის დაუმჯობესების მიზნით. მათი ხედვები გათვალისწინებული იქნა კომიტეტის მიერ პროგრამის გამართვისას. თუმცა, აკრედიტაციის ჯგუფი მაინც ფიქრობს, რომ სამივე სეგმენტი უნდა იყოს გრძალვადიანად წარმოდგენილი კომიტეტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამა, • საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები, • ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის სამსსახურთან, აკადემიურ პერსონალთან, კომიტეტის წევრებთან, მოწვეულ ლექტორებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებტან, • თვითშეფასების დოკუმენტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი იყოს წარმოდგენილი გრძელვადიანი სტატუსით თვითშეფასების ჯგუფში/კომიტეტში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა Vშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი რელევანტურია სილაბუსების შინაარსთან და სწავლის მეთოდებთან. ასევე, სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა თუ სხვა სასწავლო რესურსები შეესაბამება კურსების სწავლის შედეგებს.

პროგრამის ფარგლებში თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან. სილაბუსში მითითებული მასალა ადეკვატურია სილაბუსის სალექციო თემებთან მიმართებაში.

მართალია საათების გადანაწილებისა და კრედიტების რელევანტურობასთან მიმართებაში კომისიას რაიმე სახის ხარვეზი არ აღმოუჩენია, მაგრამ თვითონ სილაბუსების ანალიზისა და შესწავლის შემდეგ კომისიას გაუჩნდა რიგი კითხვები საკითხავ ლიტერატურასა და თემებთან დაკავშირებით:

საერთაშორისო ურთერთობების შესავალ კურსში და *საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების კურსში* ფიქსირდება საკითხავი მასალის გამეორება. ორივეგან სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია ალექსანდრე რონდელი. *საერთაშორისო ურთიერთობები.* გამომცემლობა - „ნეკერი“. თბ.2006. გამომდინარე იქედან, რომ შესავალ კურსში სტუდენტები ძირითადად რონდელის წიგნიდან გადიან მასალას, თეორიების კურსში იგივე საკითხავი მასალის გამოყენება, თუნდაც გარკვეული თავების დასაფარად, არამიზანშეწონილად მიგვაჩნია. ის, რაც სტუდენტმა უკვე გაიარა,

მისი ხელახლა მიწოდება ვერ გაურმავებს ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, მით უფრო რომ თეორიების შესახებ უამრავი სხვა და ახალი ლიტერატურა არსებობს, რომელიც სიღრმისეულად სწავლობს აღნიშნულ თეორიათა ბუნებას.

კურსში რუსეთის საგარეო პოლიტიკა სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია Girault. R. Diplomatie européene. Nations et impérialismes 1871-1914. Paris. 1997. თუ გავითვალსწინებთ იმას, რომ პროგრამის სავალდებულო ენები ქართული და ინგლისურია და ჩნდება კითხვა, რა ფუნქცია აქვს სავალდებულო ლიტერატურაში ამ წყაროს მითითებას, მით უფრო რომ თავად სილაბუსის შინაარსში ეს წიგნი არც ერთ სალექციო თემაში არაა მითითებული ძირითად საკითხავ მასალად.

პროგრამაში არის კურსების სილაბუსები (მაგ. პოს*ტ-საბჭოთა პოლიტიკა, ევროპული და ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოება, ამერიკის საგარეო პოლტიკა* და ა.შ), სადაც საკითხავ მასალად მითითებულია არა ლიტერატურა არამედ ლექტორის მიერ შედგენილი რიდერი. სასურველია, რომ უფრო მეტი ინფორმაცია იქნეს მოწოდებული, კონკრეტულად რა სტატიები თუ მონოგრაფიებია გამოყენებული მასალის გასაცნობად, რომ ნათელი წარმოდგენა შეიქმნას საკითხავი მასალა რამდენად რელევანტურია და გაუღრმავებს ცოდნას სტუდენტს კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში.

სასურველია გადაიხედოს შემდეგი საგნების სილაბუსები: *პოლიტიკური იდეოლოგიები, პოლიტიკური სისტემები და რეჟიმები* (კარგია იქნება, თუ ამ უკანასკნელის სათაურში *პოლიტიკური სისტემები* ან *რეჟიმები* ჩანაცვლდება მმართველობითი სისტემებით, კურსის წამყვანი ლექტორი დაეთანხმა შემოთავაზებას; ამასთან უნდა მოხდეს კურსში თემების გამრავალფეროვნება; ძირითადი აქცენტი კეთდება ავტორიტარულ რეჟიმზე) და *პარტიული პოლიტიკა* (აღნიშნული კურსი აქცენტს აკეთებს საქართველოზე, კარგი იქნებოდა სხვა სახელმწიფოების პრაქტიკის გამოყენებაც შედარებისათვის). სამივე იყენებს ერთი და იგივე ავტორს (ჰეივუდი, *პოლიტიკა ან იდეოლოგიები*). საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია ინგლისური ენის გაძლიერებით სწავლებაზე, ამიტომ უპრიანი იქნება თანამედროვე ინგლისურენოვანი აკადემიური წყროების გამოყენება. რადგან პროგრამაში არსებობს კურსი *საქართველოს კონფლიქტების ანალიზი,* მომგებიანი იქნება ცოდნის დივერსიფიკაციისათვის კურსი, საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარება, შეეხოს არაქართულ (მაგ. ინდოეთი - პაკისტანის, ჩრდილო ირლანდიის, აღმოსავლეთ ტიმორის, ინდოეთი-შრი-ლანკის, აშშ - კოსოვო ან კორეა ან ვიეტნამის და სხვა შემთხვევებს). ამით თავიდან იქნება აცილებული, ერთის მხრივ,

თემების გადაფარვა აღნიშნულ ორ კურსში და, მეორეს მხრივ, ფოკუსი გაკეთდება არა შიდა-სახელმწიფოებრივ, არამედ ინტერსახელმწიფოებრივი კონფლიქტის წარმოშობისა და მიმდინარეობის პროცესს. ამით სტუდენტი შეძლებს განასხვავოს სახელმწიფოში ინტრაჯგუფური კონფლიქტი საერთაშორისო კონფლიქტებისგან. როგორ აღინიშნა, პროგრამა აქცენტირებას აკეთებს სამართლისა და ეკონომიკის ბლოკზე. სამართლის კურსებში (ყველგან არა, მაგ. დიპლომატური საკონსულო სამართალი) მაგრამ, ზოგ სილაბუსში სავალდებულო საკითხავად მითითებულია ერთი სახელმძღვანელო და დანარჩენი სულ არის კანონების ან ხელშეკრულებების ჩამონათვალი. რადგან პროგრამა მიზნად ისახავს გამოუშვას საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტი, სასურველია განსაკუთრებით სავალდებულო ლიტერატურა გამდიდრდეს აკადემიური შრომებით. ამით სტუდენტი შეძლებს დააკვირდეს კანონის მოქმედებას პრაქტიკაში და ისწავლოს სიტუაციის ნორმატიული გაანალიზირება. **რაც შეეხება, ეკონომიკის საგნებს, ვთვლით, რომ საჭიროა გადაიხედოს შემდეგი კურსების სილაბუსები:** ***საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა, საერთაშორისო პოლიტ-ეკონომიკა*** **და** ***ევროკავშირის ინსტიტუტები.*** **ადგილი აქვს თემების გადაფარვას. ჩვენი შემოთავაზებაა, სავალდებულო სტატუსი მიენიჭოს საერთაშორისო პოლიტ-ეკონომიკას (პროგრამის პროფილს მეტად შესეაბამება), ხოლო** ***საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა*** **ჩანაცვლდეს რეგიონალიზმის რომელიმე კურსით (არის სამხრეთ კავკასია, მაგრამ არ არის მაგ. ახლო აღმოსავლეთი, ჩინეთი, აღმოსავლეთ აზია და ა.შ.). ამ თემატიკის კურსები პროგრამის საერთაშორისო მიმართულებას უდავოდ გააძლიერებს. (არგუმენტირებული პასუხის გაცნობისას, რეკომენდაციაზე, რომელიც ეხება არამხოლოდ** ***საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობსა, საერთაშორისო პოლიტ-ეკონომიკაას*** **და** ***ევროკავშირის ინსტიტუტებსა და მმართველობას (აღწერის ნაწილში უკანასკნელის სათაურში გაპარულია უზუსტობა (ნ.ფ.)),*** **არამედ სხვა კურსებსაც, აქცენტი გაკეთებულია მხოლოს მითითებულ სამ კურსზე. სილაბუსების ხელახალი გადახედვის შემდგომ, ვიზიარებთ უსდ-ს პოზიციას კონკრეტულად აღნიშნულ კურსების სილაბუსებთან მიმართებაში, მაგრამ შეთავაზება** ***საერთაშორისო პოლიტ-ეკონომიკის*** **სტატუსთან და რეგიონალიზმის კურსთან დაკავშირებით და განზოგადოებული რეკომენდაცია, ძალაში რჩება.)**

სასურველია, კურსი *ომის თეორიებსაც* გადაერქვას სახელი, რადგან ის ძირითადად ეხება ომის მიმდინარეობის დროს გამოყენებულ სტრატეგიებს და ტაქტიკებს და ნაკლებ

ყურადღებას უთმობს ომის თეორიებს.

ამასთან აკრედიტაციის კომისიის წევრები შეთანხმდნენ, რომ პროგრამა მოიგებს, თუ *საჯარო პოლიტიკას* მიენიჭება სავალდებულო სტატუსი. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან საუბრისას, მათ დააფიქსირეს ინტერესი დასაქმდნენ საჯარო სექტორში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება,
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და დანართები #3, #4,
- პროგრამის სილაბუსები,
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან,
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- მოხდეს მთელი რიგი სილაბუსების გადახედვა - სათაურების შეცვლა, ლიტერატურის შეცვლა/დამატება, თემების გადახედვა და გამრავალფეროვნება.
- ლიტერატურაში რიდერის მითითებისას, მიეთითოს კონკრეტულად რიდერში გამოყენებული ლიტერატურა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში ჩადებულია პრაქტიკული უნარების განვითარების კომპონენტი. პროგრამის მიხედვით 8 კურსია, რომლებიც პროფესიული უნარების განვითარებას ისახავს მიზნად. ესენია:

- პროექტის წერა - 5 კრედიტი,
- ადვოკატირება და ლობი - 4 კრედიტი,
- საჯარო მეტყველება - 5 კრედიტი,
- სტრატეგიული დაგეგმარება - 5 კრედიტი,
- სოციალური მედია და სტრატეგიული კომუნიკაციები - 4 კრედიტი,
- კვევითი უნარები,
- დებატების ხელოვნება,
- მოლაპარაკება და მედიაცია.

ყველა ეს კურსი არჩევითია.

პროგრამით გათვალისიწინებულია პრაქტიკული მუშაობა: პროექტის მონახაზის შედგენა, იმიტირებული საჯარო გამოსვლა, დებატების სიმულაცია და ა.შ. მისასალმებელია, რომ სტუდენტები პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ხვეწენ საქართველოს საგანმანათლებლო დებატების ასოციაციასთან თანამშრომლობით ევროპის უნივერსიტეტის ბაზაზე მოქმედ დებატ-კლუბში და საერთაშორისო ქსელი „ევროპული

ჰორიზონტების“ ადგილობრივ თვითმართველობაში კვლევითი და წარმომადგენლობითი საქმიანობით. დადებითია მოვლენაა, რომ სტუდენტების კვევითი უნარების განვითარების მიზნით, უნივერსიტეტი ხელს უწყობს როგორც სტუდენტური კონფერენციების ორგანიზებას, ასევე მხარს უჭერს გასვლითი კონფერენციებსაც.

სილაბუსების გაცნობისა და საბაკალავრო ნაშრომების გადახედვის შემდეგ, კომისიის წევრებს გაუჩნდათ მოსაზრება, რომ კვლევითი *უნარების კურსი*, რომელიც არჩევითია, ჩანაცვლდეს *კვლევის მეთოდების კურსით* (კლასიკური თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდოლოგიებითა და მეთოდებით) და ის გახდეს სავალდებულო. მართალია, პროგრამაში არსებობს *საბაკალავრო სემინარის* კურსი, რომელიც სავადებულოა, მაგრამ მისი შინაარსიდან გამომდინარე, ის ბოლომდე ვერ იძლევა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების საფუძვლიან ცოდნას (საბაკალავრო ნამუშევრების გადახედვამ აჩვენა, რომ სტუდენტები ვერ ფლობენ მეთოდებს, არ აქვთ წერის სტილის, ბიბლიოგრაფიის მითითების ცოდნა). რადგან საბაკალავრო ნაშრომის შესრულება სავალდებულოა საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტბისათვის პროგრამისთვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, პროგრამაში ჩაიდოს კვლევის მეთოდების კურსი. ამასთან გადაიხედოს საბაკალვრო სემინარის ფორმატი და თემები (ხდება თემების გამეორება *კვლევის უნარების* კურსთან). აღსანიშნავია, ისიც, რომ *აკადემიური წერის* კურსი სტუდენტს ასწავლის არგუმენტირებული ესსეს წერას (სასურველია კურსში ჩაიდოს ან APA and Chicago-ს წერის უნარის მიღება). ასე, რომ ეს კურსი ვერანაირად ვერ წაადგება დამამთავრებელი კურსის სტუდენტს საბაკალავრო ნაშრომს შექმნაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა,
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება,
- პროგრამის სილაბუსები,
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, საბაკალარო სემინარის ლექტორტან, კვლევის უნარების ლექტორთან,
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან,
- გასაუბრება სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

გამომდინარე იქიდან, რომ საბაკალავრო ნაშრომის შესრულება და დაცვა ჩადებულია პროგრამაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროგრამას დაემატოს კვლევის მეთოდების საგანი სავალდებულო სტატუსით, რადგან ვერც აკადემიური წერის კურსი, ვერც საბაკალავრო ნაშრომის კურსი სათანადოდ ვერ უმუშავებს სტუდენტს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის უნარებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

აკადემიური წერის ფარგლებში APA ან Chikago-ს სტილის შესწავლა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდნეტებს განუვითაროს პრაქტიკული უნარ-ჩვევები და საქარველოს საგანმანათლებლო დებატების ასოციაციასთან თანამშრომლობით ევროპის უნივრსიტეტის ბაზაზე მოქმედ დებატ კლუბში, საშუალებას აძლევს სტუდენტებს დახვეწონ საჯარო გამოსვლების უნარები, ასევე კარგია რომ სტუდენტების კონფერენციებში მონაწილეობის წახალისების მიზნით უფინანსებს გასვლით კონფერენციებს.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაში დეკლარირებული სწავლის მეთოდებისა და სასწავლო კურსებში მოცემული მეთოდების ანალიზმა ცხადყო, რომ სწავლებისა და სწავლის მეთოდები, ერთი მხრივ შეესაბამება კურსის/კომპონენტის შინაარსს, ხოლო მეორე მხრივ მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ლექცია,
ინტერაქტიული მუშაობა, აუდიო-ვიზულაური მუშაობა, დემონსტრირება, სემინარი, გონებრივი იერიში, დისკუსია/დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, პრაქტიკული მუშაობა, სავარჯიშოებზე მუშაობა, შემთხვევის შესწავლა, კაზუსის ამოხსნა, სიტუაციურ ამოცანებზე მუშაობა, ელექტრონული სწავლება, ონლაინ ფორუმი, ელექტრონული დავალებები.
პროგრამის ფარგლებში აგებულია სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა, რომელიც აღწერს პროგრამის რომელი სწავლის შედეგი მიიღწევა სასწავლო კურსებში გამოყენებული თითოეული სწავლება-სწავლის მეთოდით და აქტივობით. ამასთანავე, აღნიშნული რუკა იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ თუ სწავლების რომელი მეთოდი/აქტივობა უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას მაღალი, საშუალო თუ დაბალი ხარისხით.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საერთაშორისო ურთერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ, პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის No3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, რომელიც მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი–შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი–მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი–მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი–მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი–მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა–მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა–მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ

სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. საბოლოო შეფასებაში დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილი განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსისთვის 40%-ით, შესაბამისად, შუალედური შეფასების ხვედრითი წილია საბოლოო შეფასების 60%.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების სავალდებულო კომპონენტია შუალედური გამოცდა, რომელიც ტარდება მე-8 კვირაში და უნდა შეფასდეს მინიმუმ 20 და მაქსიმუმ 30 ქულით. შუალედური შეფასების კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში. დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. სტუდენტის დადებითი შეფასება განისაზღვრება შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვარის და დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის საფუძველზე მიღებული ქულების დაჯამებით, რომელიც უნდა შეადგენდეს 51 ქულას ან მეტს. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 30%, დასკვნითი შეფასების 50%. საბაკალავრო ნაშრომის შემთხვევაში კი შუალედური შეფასების 51%, დასკვნითი შეფასების 51%.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება შეფასების სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა: შუალედური შეფასება. შუალედური შეფასების მეთოდებია: ტესტი (ღია, დახურული ან კომბინირებული), სავარჯიშო, ქეისი, კაზუსი, სიტუაციური ამოცანა, ზეპირი გამოკითხვა. სემინარის შეფასების მეთოდად გამოიყენება ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაცია, ქვიზი, დისკუსია/დებატები. პრაქტიკული მუშაობის შეფასების მეთოდებია: კაზუსი, ქეისი, სიტუაციური ამოცანა. დამოუკიდებელი სამუშაოს შეფასების მეთოდებია: რეფერატი, ესსე, პროექტი. დასკვნითი გამოცდის შეფასების მეთოდებია: ტესტი (ღია, დახურული ან კომბინირებული), რეფერატი,

სიტუაციური ამოცანა, პროექტი, სავარჯიშო, ზეპირი გამოკითხვა. ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები და ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას სხვადასხვა ტრენინგების მეშვეობით. სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების ფორმებისა და მეთოდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში, რასთან დაკავშირებითაც დეტალები ეცნობა სტუდენტს სასწავლო კურსის დაწყებისთანავე. სილაბუსი მიეწოდება სტუდენტს სასწავლო კურსის ფარგლებში ჩატარებულ პირველივე შეხვედრაზე. სასწავლო კურსის სილაბუსები ხელმისაწვდომია სტუდენტსა და სასწავლო კურსის განმახორციელებელ პერსონალს შორის მასალების საკომუნიკაციოდ ევროპის უნივერსიტეტის მიერ გამოყენებულ Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმაზე (https://moodle.edu.ge/moodle/), ასევე, ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონულ პლატფორმაზე (სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა https://eunsis.eun.edu.ge/).

სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაასაჩივროს მიღებული შეფასება. წესის თანახმად სტუდენტი უფლებამოსილია, შედეგების გამოქვეყნებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, მიმართოს საგამოცდო ცენტრს მის მიერ შესრულებული საგამოცდო ნაშრომის გაცნობის მიზნით, ხოლო სასწავლო კურსის განმახორციელებელ ლექტორს საგამოცდო ნაშრომის განხილვის მიზნით. თუ სტუდენტი ნაშრომის გაცნობის (სტუდენტისთვის ნაშრომის გაცნობას უზრუნველყოფს საგამოცდო ცენტრი) და განხილვის შემდეგ ჩათვლის, რომ მის მიერ შესრულებული ნაშრომი შეფასებულია არაობიექტურად, ის უფლებამოსილია იმავე დღეს წერილობითი განცხადების საფუძველზე გაასაჩივროს მიღებული შეფასება. საგამოცდო ცენტრი ვალდებულია, განაცხადის/საჩივრის მიღების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს დეკანს სააპელაციო კომისიის შექმნის საჭიროების შესახებ. ცენტრი ვალდებულია, განაცხადის/საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, გააცნოს სტუდენტის ნაშრომი სააპელაციო კომისიას. სააპელაციო კომისია ვალდებულია, 2 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს სტუდენტის ნაშრომი; მიღებული შედეგის ცვლილების ან იმავე შეფასების დატოვების შემთხვევაში, სააპელაციო კომისია წარუდგენს საგამოცდო ცენტრს დასაბუთებულ დასკვნას. სააპელაციო კომისიის შემადგენლობას, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი წერილობითი ფორმით წარუდგენს რექტორს დასამტკიცებლად. სააპელაციო კომისიის დასკვნა საბოლოოა და აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ

ბაზაში, რომელიც, თავისმხრივ, აუქმებს იქამდე არსებულ შეფასებას. როგორც სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, ისინი არ იცნობენ გასაჩივრების წესებს და არც მიუმართავთ მსგავსი პროცედურისთვის.

უნივერსიტეტში მოქმედი საგანამანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. შეფასების პირდაპირი მეთოდი გულისხმობს სასწავლო კურსზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასებასა და ანალიზს. აღნიშნული ეყრდნობა სტუდენტის მიღწევების შეფასებას სხვადასხვა ფორმების გამოყენებით. პირდაპირი მეთოდი ასევე გულისხმობს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას საგანმანათლებლო პროგრამით წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მეშვეობით.

შეფასების არაპირდაპირი მეთოდი გულისხმობს დაინტერტესებული მხარეების (კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვას და გამოკითხვის შედეგების ანალიზს. დაინტერესებული მხარეები, კერძოდ დამსაქმებლები აფასებენ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის ან კურსდამთავრებულის ცოდნასა და უნარებს, ხოლო კურსდამთავრებულების გამოკითხვის შემთხვევაში - საკუთარ ცოდნასა და უნარებს.

გამოკვეთილი პრობლემების აღმოფხვრა გულისხმობს კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას, რაც გულისხმობს პროგრამის და/ან სასწავლო კომპონენტის ფარგლებში გარკვეული ცვლილებების განხორციელებას, მაგ. როგორიცაა:

- სწავლებისა და სწავლის მეთოდების შეცვლა;
- სასწავლო კომპონენტის კრედიტებისა და შესაბამისად კომპონენტის ასათვისებლად გამოყოფილი სამუშაო საათების შეცვლა;
- სასწავლო კომპონენტის ფარგლებში ლექტორთან საკონტაქტო საათების შეცვლა;
- სასწავლო კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდებისა და შეფასების ფორმების შეცვლა;
- სასწავლო კომპონენტის ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურის შეცვლა;
- სასწავლო კურსის წინაპირობის დაწესება ან შეცვლა და ა. შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები,
- დოკუმენტი „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია“,
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა,
- პერსონალს შორის მასალების საკომუნიკაციოდ გამოყენებული Moodle-ის ელექტრონული პლატფორმა (https://moodle.edu.ge/moodle/),

o ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა (https://eunsis.eun.edu.ge/), o სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სტუდენტებისათვის აპელაციის პროცედურის დეტალური გაცნობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის		V		

ათვისების შეფასების ადეკვატურობა				

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით სტუდენტთა კონსულტირებას ევროპის უნივერსიტეტში ახორციელებენ ფაკულტეტის თანამშრომლები. კომუნიკაციისთვის ფაკულტეტზე მუშაობს ელექტრონული პლატფორმა, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა (https://eunsis.eun.edu.ge/), რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სტუდენტის აკადემიური რეგისტრაცია ყოველი სემესტრის დასაწყისში. პლატფორმაზე ასევე, განთავსებულია მიმდინარე, შუალედური და დასკვნითი შეფასებები, შესაბამისად, სტუდენტებს საშუალება აქვთ თვალი ადევნონ შეფასებებს და საკუთარ აკადემიურ მიღწევებს. ევროპის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა კარიერულ განვითარებასა და დასაქმებასთან დაკავშირებულ კონსულტაციებს. ცენტრს ჰყავს კარიერული კონსულტანტი, რომელიც სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს სემინარების(workshop) მეშვეობით ეხმარება CV-ების და სამოტივაციო წერილების შედგენაში. გასაუბრებამდე მათ უტარდებათ იმიტირებული გასაუბრება. ცენტრის მიერ მუდმივად იგზავნება ინფორმაცია სტუდენტებთან გამოცხადებული ვაკანსიებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ და ასევე დასაქმების ფორუმებზეც მიეწოდებათ მათ მსგავსი ტიპის ინფორმაცია. ცენტრი ასევე, ხელს უწყობს სტუდენტთა სპორტული და კულტურული ცხოვრების განვითარებას და გეგმავს მათთვის სხვადასხვა სახის ექსტრაკურიკულურ აქტივობებს. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ

სტუდენტებისათვის ტარდება დამატებითი საკონსულტაციო შეხვედრები, კვირაში ორი საათის ხანგრძლივობით. საკონსულტაციო შეხვედრების განრიგი დგება ყოველი სემესტრის დასაწყისში. შეხვედრების განრიგი განთავსებულია ევროპის უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფებზე და ევროპის უნივერსიტეტის მიერ გამოყენებულ Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმაზე ბ(https://moodle.edu.ge/moodle/). თუმცა, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიებიდან აღმოჩნდა რომ ისინი ამ მომსახურებით არ სარგებლობენ. საჭიროა სტუდენნტთა მოტივირება, რათა სწავლის პროცესში თუნდაც კურსის ფარგლებში მცირე კვლევა ჩატარდეს და ამ დროს სტუდენტს დასჭირდეს საკონსულტაციო საათები ლექტორთან.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში. საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის მიერ შექმნილია სიახლეების ბლოგი, რომლის მიზანია სტუდენტებისა და დაინტერესებული პირებისათვის საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულებით სხვადასხვა პროექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება (https://internationalgazette.wordpress.com/). სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ სტუდენტების ინფორმირება, უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ღონისძიებების, პროექტებისა და კონფერენციების შესახებ, ხდება სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით (საინფორმაციო დაფაზე განთავსებით, ელექტრონული მეილებით, ვებ-გვერდის საშუალებით, სოციალური ქსელით). უნივერსიტეტში განხორციელდა არაერთი პროექტი როგორიცაა: მწვანე ეკონომიკა, "ევროპული ჰორიზონტების" ჯგუფი, რომელსაც აქვს არჩეული ჰიბრიდული ტიპის საქმიანობა, რაც მოიცავს ერთი სასწავლო სემესტრის განმავლობაში კვლევის საფუძველზე მინიმუმ ერთი პუბლიკაცის გამოქვეყნებას და მინიმუმ ერთი ღონისძიების ორგანიზებას.

ევროპის უნივერსიტეტმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა ლატვიის ევროპული საზოგადოების შემსწავლელ ასოციაციასთან (LECSA). აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში LECSA-მ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის გამოჰყო ყოველწლიური კვოტა "ბრიუსელის ევროპულ კვირეულში" მონაწილეობის მისაღებად. 2020 წლის "ბრიუსელის ევროპული კვირეული" ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტების ჩართულობით 2-6 ნოემბერს უკვე შედგა და მას დაესწრო 50-ზე მეტი მონაწილე ლატვიის, შვეიცარიის, გერმანიის, ბელგიისა და საქართველოს

უნივერსიტეტებიდან (ევროპის უნივერსიტეტი, ქუთაისის უნივერსიტეტი). სტუდენტებმა განახორციელეს ვირტუალური ვიზიტები ევროკავშირის შემდეგ ძირითად ინსტიტუტებში: ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახური (EEAS), ევროპული კომისია (European Commission), ევროპული პარლამენტი (European Parliament), ევროკავშირის საბჭო (Council of the European Union), ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი (EESC), ევროპის რეგიონთა კომიტეტი (CoR). დამატებით, შეხვედრები გაიმართა შვეიცარიისა და გერმანიის სამეკავშირეო ოფისებთან ევროკავშირში (Swiss Core EU და Association of German Counties in EU). 2020-2021 აკადემიური წლის დასაწყისში, უნივერსიტეტთაშორისი მოლაპარაკების საფუძველზე, ტიმიშოარას დასავლეთ უნივერსიტეტმა (რუმინეთი) ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის გამოჰყო სპეციალური კვოტა ონლაინ საზაფხულო სკოლაში მონაწილეობისთვის. ორკვირიანი (31 აგვისტო - 13 სექტემბერი) მულტიდისციპლინარული პროგრამა მოიცავდა მრავალფეროვან კურსებსა და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ პროფესიულ ვორქშოპებს. ევროპის უნივერსიტეტმა შიდა წესით შერჩეულ დასწრების მსურველ სტუდენტებს (მათ შორის საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამიდან) რეგისტრაციის საფასური სრულად დაუფარა. საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტები დაესწრნენ ლექციებს ისეთ თემებზე, როგორიცაა სამოქალაქო აქტივიზმი; პრეზენტაციის უნარები და არავერბალური კომუნიკაცია; საჯარო გამოსვლების სტრატეგიები; ლიდერობის კომპეტენციები და სხვა. ასევე უნდა აღინიშნოს ჟან მონეს მოდულის ზამთრის სკოლა, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის სხვადასხვა მიმართულებით ევროპული ცოდნის გადაცემას, ევროპეიზაციასა და დემოკრატიაზაციის სფეროში ჩართულ ახალგაზრდა მკვლევარებში ცოდნისა და კვლევის ხელშეწყობას და ევროპის უნივერსიტეტში საჯარო დისკუსიების გამართვას სტუდენტების, აკადემიური პერსონალის და ქვეყნის გადაწყვეტილების მიმღები პირების მონაწილეობით. ასევე სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით საგანმანათლებლო პროფილთან შესაბამისობის გათვალისწინებით. ევროპის უნივერსიტეტს მემორანდუმი აქვს გაფორმებული შემდეგ უნივერსიტეტებთან: დომბროვა-გურნიჩას, კორეის, დასავლეთ ტიმიშოარას, ტოკატ გაზიოსმანფაშას, ვერსალის და ვისტულას უნივერსიტეტებთან. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ ისინი აქტიურად არ არიან ჩართული საერთაშორისო მობილობის პროგრამებში, რის მიზეზადაც ინტერესის ნაკლებობა სახელდება. ამასთანავე, ევროპის უნივერსიტეტს წვდომა აქვს შემდეგ სამეცნიერო ბაზებზე: Elsevier, EBSCO EP Package ELITE,

eIFL, რასთან დაკავშირებითაც სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს არ აქვთ ინფორმაცია და არც იყენებენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერნაციონალიზაციის შეფასების ანგარიში(2021),
- საერთაშორისო მემორანდუმები,
- ევროპული ჰორიზონტების სემესტრული ანგარიში,
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები,
- ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები,
- ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა (https://eunsis.eun.edu.ge/),
- ევროპის უნივერსიტეტის მიერ გამოყენებული Moodle-ის ელექტრონული პლატფორმა (https://moodle.edu.ge/moodle/),
- https://eu.edu.ge/ge/zhan-mones-moduli,
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

სტუდენტების დაინტერესება საერთაშორისო პროგრამებით, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მოტივაციის გაძლიერება და სტუდენტების საერთაშორისო მობილობაში ჩართულობის გაზრდა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოხდეს სასწავლო პროცესი ელ-ბაზების აქტიური გამოყენება, განსაკუთრებით საბაკალავრო ნაშრომის შექმნისას,
- სტუდენტთა მოტივირება, რათა სწავლის პროცესში, თუნდაც კონკრეტული კურსის ფარგლებში მცირე კვლევა ჩატარდება, რომლის მიმდინარეობისას მოხდება სტუდენტის მიერ საკონსულტაციო საათების გამოყენება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

სტუდენტთა კარიერულ განვითარებასა და დასაქმებასთან დაკავშირებული ცენტრი - კონსულტანტი ატარებს კონსულტაციებს, იგეგმება და ხორციელდება სემინარების(workshop), რომელიც სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს ეხმარება CV-ების და სამოტივაციო წერილების შედგენაში. გასაუბრებამდე მათ უტარდებათ

იმიტირებული გასაუბრება.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		V		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
• პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; • პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა

მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდა არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები სამივე უზრუნველყოფილები არიან უნივერსიტეტის მიერ სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, დასტურდება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულნი არიან კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამის ფარგლებში ასევე დასტურდება მოწვეული ლექტორების კომპეტენცია შესაბამის დარგში სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნითა და პრაქტიკული გამოცდილებით.

აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით (მონოგრაფია, სტატია, სახელმძღვანელო, რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და სხვა;) რითიც ასევე დასტურდება მათი დარგობრივი კომპეტეცია. თუმცა, სასურველია, პროგრამას დაემატოს სავალდებულო ან დარგის სასწავლო კურსების ერთ-ერთი წამკითხავი ორი ლექტორიდან ერთ-ერთი მაინც დოქტორანტის სტატუსით. პრაქტიკული გამოცდილება ნამდვილად კარგია, მაგრამ ესაა აკადემიური საბაკალავრი პროგრამა, რომელიც სთავაზობს სტუდენტს თეორიულ, მეცნიერულ კვლევაზე დაფუძნებულ საგნებს, ამიტომ მიგვაჩნია, რომ აკადემიური პერსონალი უნდა გაძლიერდეს სულ მცირე დოქტორანტებით მაინც.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 56 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მათ შორის 21 აკადემიური პერსონალი და 35 მოწვეული პერსონალი. აკადემიურ პერსონალს შორის 7

პროფესორია (მათ შორის 1 აფილირებული პროფესორი), 11 ასოცირებული პროფესორი (მათ შორის 6 აფილირებული ასოცირებული პროფესორი), 3 ასისტენტ-პროფესორი (მათ შორის 2 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი).

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში შემდეგია: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში: დაწესებულებიდან წასულთა რაოდენობა - 0; ახალი აკადემიური პერსონალის რაოდენობა - 8. მოწვეული პერსონალის შემთხვევაში: დაწესებულებიდან წასულთა რაოდენობა - 0 , ახალი პერსონალის რაოდენობა - 30. პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის დენადობასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული მონაცემები ცხადყოფენ საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად განხორციელებას.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში, პროცესების ადმინისტრირების და სტუდენტთა მომსახურების მიზნით ჩართულია ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი, კერძოდ, ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი (2 თანამშრომელი), ბიბლიოთეკა (2 თანამშრომელი), საგამოცდო ცენტრი (3 თანამშრომელი), საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური (2 თანამშრომელი), ჯამში 12 ადმინისტრაციული პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა,
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები,
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია,
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია,
- პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია,
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების გათვალისწინების ანგარიში,
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (https://eu.edu.ge/ge).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პროგრამას დაემატოს სავალდებულო ან დარგის სასწავლო კურსების ორი წამკითხავი ლექტორიდან ერთი მაინც დოქტორანტის სტატუსით. აკადემიური საბაკალავრო პროგრამის აკადემიური პერსონალი სასურველია გაძლიერდეს სულ მცირე დოქტორანტებით მაინც.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანთლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შეფასება ევროპის უნივერსიტეტში ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით: პერსონალის სამეცნიერ-კვევითი საქმიანობა, მათი აკადემიური საქმიანობა და სააუდიტორიო საქმიანობა.
ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში ტარდება პროგრამის

განმახორციელებელი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა. აკადემიური და მოწვეული პერსონალი აღნიშნული გამოკითხვის შედეგად აფასებს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, უნივერსიტეტის მხრიდან მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, მართვის სტილს, ანაზღაურების საკითხებს და ა.შ.

კომისიას მოეწონა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ფინანსური წახალისების მექანიზმი. კერძოდ სამი საუკეთესო შედეგის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის თითოეულ ფაკულტეტზე განსაზღვრულია ფულადი ჯილდოები (აკადემიური პერსონალის შემთხვევაში: I ადგილი - 1500 ლარი, II ადგილი - 1000 ლარი, III ადგილი - 500 ლარი); მოწვეული პერსონალის შემთხვევაში: I ადგილი - 1000 ლარი, II - ადგილი - 700 ლარი, III ადგილი - 400 ლარი). აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება აღნიშნული მეთოდის გამოყენებით პირველად განხორციელდა 2018-2019 აკადემიურ წელს და მას შემდეგ ხორციელდება ყოველწლიურად. შეფასების შედეგების მიხედვით პერსონალის დაჯილდოვება ევროპის უნივერისტეტის მიერ ხორციელდება საჯაროდ, სტუდენტთა თანდასწრებით, რაც ადმინისტრაციის შეხედულებით ზრდის სტუდენტთა მოტივაციას მიიღონ აქტიური მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ კვლევებსა და გამოკითხვის პროცესში. და ასევე მოტივაციას ზრდის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალში,რომ უფრო საინტერესო გახადოს სწავლების პროცესი სტუდენტებისთვის.

დადებითად შეფასდა უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრის არსებობა,სადაც მიმდინარეობს სწავლების მეთოდებთან დაკავშირებული ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება.

მისასალმებელია, რომ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსებისა და ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოყოფილია თანხა, 59 500 ლარი. ბიუჯეტის ეს ნაწილი ითვალისწინებს როგორც აფილირებული აკადემიური პერსონალის დაფინანსების, ასევე, ფაკულტეტის ფარგლებში პერსონალის მიერ ინიცირებული კვლევითი პროექტების დაფინანსების ხარჯებს.აღსანიშნავია, რომ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს შესაძლებელია მიმართვის საფუძველზე დაუფინანსდეს კვლევითი პროექტები. გამომდიარე აქედან უნივერსიტეტი ქმნის ფინანსურ წამახალისებელ ბაზისს როგორც სწავლა-სწავლების გაუმჯობესების თვალსაზრისით, ისე სამეცნიერო საქმიანობის გასავითარებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგები, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები,
- ევროპის უნივერსიტეტის სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურები,
- პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები და საყურადღებო საკითხებზე რეაგირების ანგარიშები,
- სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტი,
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რეზიუმეები, პუბლიკაციების სია,
- ევროპის უნივერსიტეტის კვლევის დაფინანსების წესი,
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან,
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან,
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად ევროპის უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა: სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე, საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიები შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფითა და ინტერნეტით. სასწავლო უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა. სასწავლო უნივერსიტეტის შენობა აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი ინვენტარით. საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამისთვის გამოიყენება გურამიშვილის No76 ნომერში განთავსებული ადმინისტრაციული შენობის მეორე, მეოთხე დამეხუთე სართულზე არსებული 10 აუდიტორია, საშუალოდ 32-34 სტუდენტზე გათვლილი; ასევე 70 ადამიანზე გათვლილი საკონფერენციო დარბაზი და 25 კომპიუტერით აღჭურვილი ლაბორატორია. თითოეული მათგანი აღჭურვილია მერხებით, სკამებით, დაფებით, კომპიუტერებით, პროექტორებით, უსადენო ინტერნეტით.

ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის საბიბლიოთეკო რესურსებით მომსახურებას. ბიბლიოთეკა, განთავსებულია უნივერსიტეტის ორივე კორპუსში, მუშაობს ყოველ დღე, კვირის გარდა, 10:00-დან 20:00 საათის ჩათვლით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შედგება, როგორც უნივერსიტეტის მიერ მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო სავალდებულო ლიტერატურისაგან, აგრეთვე ზოგადი

ხასიათის საცნობარო გამოცემებისაგან, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურისაგან, პერიოდული გამოცემებისაგან და ციფრული ლიტერატურისგან.

საბიბლიოთეკო რესურსებისა და ელექტრონული სამეცნიერო ბაზების შესახებ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს მუდმივად მიეწოდებათ ინფორმაცია და ინსტრუქციები ბიბლიოთეკის თანამშრომლებისგან, შეხვედრებისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით. საბიბლიოთეკო რესურსებისა და ელექტრონული ბაზების ხელმისაწვდომობის შესახებ, ინფორმაციის გავრცელების მიზნით, დაბეჭდილია საინფორმაციო ბუკლეტები, რომლებიც ვრცელდება ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ საბიბლიოთეკო-საინფორმაციო შეხვედრების დროს და ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში.

ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (http://esu.edu.ge/biblio/opac/index.php). კატალოგში ძიება საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს მოიძიოს ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი ლიტერატურა, ასევე არსებული ეგზემპლარის რაოდენობა, გატანილი და დარჩენილი ეგზემპლარების რაოდენობა. ელექტრონულ კატალოგში ძებნა შესაძლებელია ავტორის, სათაურის, თემატიკის მითითებით.

ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია სილაბუსებით გათვალისწინებული ყველა საკითხავი მასალა ფიზიკური ან ელექტრონული ფორმით. ასევე ევროპის უნივერსიტეტს წვდომა აქვს შემდეგ სამეცნიერო ბაზებზე: Elsevier, EBSCO EP Package ELITE, eIFL.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ელექტრონული ბაზები (https://eu.edu.ge/ge/library),
- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (http://esu.edu.ge/biblio/opac/index.php),
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (https://eu.edu.ge/ge),
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა ფინანურად დოტაციური ხასიათისაა. უსდ უზრუნველჰყოფს პროგრამის ფინანსურ სტაბილურობას. თავად პროგრამა ვერ უზრუნველყოფს თვითდაფინანსებას. ეს ერთის მხრივ გამოწვეულია იმით, რომ 2018-2019 წლებში მთელ უსდ-ს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატრებული მონიტორინგის საფუძველზე შეეზღუდა მიღებისას სტუდენტების რაოდენობა. შესაბამისად, ამ პერიოდში პროგრამას არ ყავდა ახლადმიღებული სტუდენტები. 2020 წელს, როცა აღნიშნული შეზღუდვა მოიხსნა, პროგრამამ მიიღო 9 სტუდენტი. ეს ნიშნავს, რომ თავად პროგრამა ვერ შეძლებს ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევას. უსდ-ს ადმინისტრაცია, კონკრეტულად კი რექტორი თვლის, რომ

პროგრამას აქვს პოტენციალი და შესაბამისად, უსდ-სთვის მნიშვნელოვანია მისი შენარჩუნება. ამიტომ, სანამ პროგრამა არ გადავა თვითდაფინანსების რეჟიმზე, უსდ უზრუნველყოფს მის ფინანსურ სტაბილურობას. უსდ-მ და ფაკულტეტმა წარმოადგინეს ფინანსური დოკუმენტები (ბიუჯეტი), საიდანაც ნათლად ჩანს, რომ უნივერსიტეტს შეუძლია დაეხმაროს პროგრამას. კარგი იქნებოდა, თუ შეიქმნებოდა კონკრეტულად პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტი, სადაც ცხადად იქნებოდა გაწერილი რა თანხას იძლევა უსდ და რაში იხარჯება აღნიშნული დახმარება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უსდ-ს ბიუჯეტის დოკუმენტი, • ფაკულტეტის ბიუჯეტის დოკუმენტი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის კონკრეტულად პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტის შექმნა, სადაც ცხადად იქნებოდა გაწერილი რა თანხას იძლევა უსდ და რაში იხარჯება აღნიშნული დახმარება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	V			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციონირებას განსარზღვრავს „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ (დამტკიცებულია მმართველი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის No6 ოქმის დადგენილებით) და ის ახორციელებს საქმიანობას „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურების“ შესაბამისად (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის No96 ბრძანებით/დოკუმენტში ცვლილებები განხორციელდა უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 11 ივლისის No173 , 2020 წლის 7 სექტემბრის No241, 2020 წლის 05 ნოემბრის No318, 2020 წლის 7 დეკემბრის No347 ბრძანებებით). აღნიშნული მექანიზმები გულისხმობს უსდ-სა და შესბამისად პროგრამის საქმიანობის უწყვეტ შეფასებას. შეფასების პროცესი 4-ეტაპიანია და მოიცავს შეფასებისა და რეაგირების პროცესის დაგეგმვას, მის განხორციელებას (პრობლემური საკითხების დადგენა და გაუმჯობესება), გასაუმჯობესებლად გატარებული

ცვლილებების შედეგებზე დაკვირვებას და შედეგების ანალიზით ცვლილებების ხელახალ გადახედვას და შეფასებას.

საბაკალავრო პროგრმის განახლების პროცესში პროგრამის ხელმძღვანელისა და კომიტეტის წევრების მიერ შეფასდა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და სასწავლო პროცესი. მოხდა გატარებული ცვლილებების ანალიზი, მათი განხორციელება და პროგრამის შესაბამისი დახვეწა. გათვალისწინებული იყო როგორც აკადემიური პერსონალი, ისე სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და და დამსაქმებლების მოსაზრებების გამოკითხვების მეშვეობით. იგივე ჯგუფები გამოკითხვის ფორმატით მონაწილეობდნენ თვითშეფასების ჯგუფის მუშაობაში. თვითშეფასების დოკუმენტის შექმნაზე აქტიურად იმუშავა შემდეგმა სტრუქტურებმა: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ფინანსური სამსახური, სტუდენტთა და კურსდამთავებულთა მომსახურების ცენტრი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, ბიბლიოთეკა.

სასურველია, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და და დამსაქმებლების წარმომადგენელთა ყოფნა კომიტეტში მუდმივი წევრის სტატუსით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუები ხარისხის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ლექტორებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების წარმომადგენელთა ყოფნა კომიტეტში მუდმივი წევრის სტატუსით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, რათა დაიხვეწოს და განვიტარდეს საგანმანათლებლო პროგრამები. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამამ პირველად აკრედიტაცია მიიღო 2015 წელს. უახლოეს წარსულში მოხდა პროგრამის გადახალისება, რომლის დროსაც გათვალისწინებული იყო აკრედიტაციის დროს მიღებულის რეკომენდაციები. განხორციელდა შედეგი ცვლილებები: პროგრამის სავალდებულო კურსებს დაემატა „შედარებითი პოლიტიკა“ და „საგარეო პოლიტიკის ანალიზი“; ხოლო „დიპლომატიური და საკონსულო სამართალი“ გახდა არჩევითი; კურსი, „საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობები“, საერთოდაც იყო ამოღებული პროგრამიდან. ცვლილება შეეხო კურსს, „საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოება“. ის გაიყო ორ ნაწილად „საერთაშორისო უსაფრთხოების თეორიები“ და „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა“. ორივე სილაბუსი გამდიდრდა თემატიკითა და ლიტერატურით. გარდა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებისა, პროგრამა გარე შეფასებისათვის გადაეგზავნა მასარიკის უნივერსიტეტის (ჩეხეთი) საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპისმცოდნეობის დეპარტამენტის

პროფესორს. პროგრამა პროფესორმა შეაფასა დადებითად. მისთვის მისაღებია პროგრამის ინტერდისციპლინურობა, რაც გამოიხატება საერთაშორისო ეკონომიკის, სამართლის, უსაფრთხოების, პოლიტიკური ფილოსოფიის და საგარეო პოლიტიკის სფეროების საინტერესო კომბინაციაში. ის თვლის, რომ სწავლის მეთოდები კარგადაა შემუშავებული, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების დაინტერესებასა და ცოდნის გაღრმავებას. პროფესორ ბეჩნას აზრით, შეფასების მეთოდები შესაბამისობაშია სწავლების მეთოდებთან და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების მიღწევას.

კარგი იქნებოდა, გამოყენებული ყოფილიყო ის საერთაშორისო კავშირები, რომელის არამხოლოდ უსდ-ს, არამედ თავად პროგრამას აქვს და მომხდარიყო სხვა უცხოელ ექსპერტანაც გარე შეფასება. ეს მათ დასკვენებს უფრო ვალიდურს გახდიდა. ამასთან სასურველი იყო ადგილობრივ დონეზე სხვა უნივერსიტეტებიდანაც ექსპერტების მოწვევა და მათი გამოცდილების გაზირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა,
- თვითშეფასების დოკუმენტი,
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2015 წლის 7 აგვისტოს No121 გადაწყვეტილება,
- გარე ექსპერტის შეფასების დოკუმენტი,
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან,
- მემორანდუმები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კარგი იქნებოდა, გამოყენებული ყოფილიყო ის საერთაშორისო კავშირები, რომელის არამხოლოდ უსდ-ს, არამედ თავად პროგრამას აქვს და მომხდარიყო სხვა უცხოელ ექსპერტანაც გარე შეფასება.

- სასურველი იყო ადგილობრივ დონეზე სხვა უნივერსიტეტებიდანაც ექსპერტების მოწვევა და მათი შეფასების ანალიზი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს

სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამას წლიურად აფასებს პროგრამის ხელმძღვანელი ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, გამოკითხვის შედეგები), კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების მოკვლევა და შეფასება, სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში, ექსტრაკურიკულურ აქტივობებში მონაწილეობის შეფასება, პროგრამის განხროციელებისთვის საჭირო მატერილურ-ტექნიკური ბაზის, საბიბლიოთეკო რესურსის განახლება. მიღებული შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარედგინება მექანიზმების ფარგლებში წინასწარ შემუშავებული ანგარიშის სახით. ამავე

ანგარიშში პროგრამის ხელმძღვანელი აღწერს მიღებული შეფასების შედეგების საფუძველზე პროგრამის განვითარებისა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით განხორციელებულ აქტივობებს, როგორიცაა, პროგრამის სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანა, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, საბიბლიოთეკო რესურსების განახლება და ა.შ. 2019-2020 აკადემიურ წელს აღნიშნული შეფასება განხორციელდა საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით. პირდაპირი მეთოდი მოიცავს აკადემიური მოსწრების ანალიზს, კერძოდ ხორციელდება ბოლო სამი წლის შედეგებზე დაკვირვება. ანალიზის შედეგად იკვეთება საყურადღებო საკითხები. ანალიზის შედეგები და გამოვლენილი საყურადღებო საკითხები ეგზავნებათ პროგრამის ხელმძღვანელებს რეაგირებისთვის, საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლის და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ცვლილებების განხორციელების მიზნით. რეაგირება შესაძლებელია გულისხმობდეს, სასწავლო გეგმაში კონკრეტული ცვლილებების განხორციელებას, სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული წინაპირობების შეცვლას, სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების შეცვლას, გამოყენებული ლიტერატურის განახლებას და ა.შ.

არაპირდაპირი მეთოდი მოიცავს შეფასების შემდგომ ინსტრუმენტებს: კურსდამთავრებულის და დამსაქმებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარს. აღნიშნულ პროცესში დამსაქმებლები, იმ შემთხვევაში თუ მათთან დასაქმებულია ევროპის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ან სტუდენტი, აფასებენ დასაქმებულთა ცოდნასა და უნარებს, ხოლო კურსდამთავრებულები აფასებენ პროგრამის დასრულების შედეგად მიღებულ საკუთარ ცოდნასა და უნარებს.

პროგრამაში მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო აკადემიური და მოწვეული პერსონალის ნიშნულებს რაოდენობის დადგენის მიზნით. დოკუმენტის ფარგლებში განსაზღვრულია სასწავლო კურსებზე ჯგუფში დაშვებული სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა და აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის დაშვებული აკადემიური საათების მაქსიმალური რაოდენობა.

შეფასების ინსტრუმენტად გამოიყენება:

- პროგრამაზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის ფორმა;
- სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის კითხვარი.

სტუდენტები ყოველი სემესტრის ბოლოს კითხვარების მეშვეობით აფასებენ სასწავლო კურსებსა და აკადემიურ პერსონალს (ხარისხის სამსახურის ხელმღვანელთან ინტერვიუში, თვითშეფასებაში წერია - *ყოველწლიურად*). გამოკითხვის პროცესში სტუდენტები აფასებენ სასწავლო კურსის შინაარსს, შინაარსის შესაბამისობას სასწავლო კურსით მისაღწევ სწავლის შედეგებთან, სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლების მეთოდების ეფექტიანობას, გამოყენებულ ლიტერატურას, სასწავლო კურსის მსვლელობის სილაბუსთან შესაბამისობას, სასწავლო კურსით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას, სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი ლექტორთან საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მისაღწევ შედეგებთან შესაბამისობას, შეფასების სისტემის ადეკვატურობას.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობა ფასდება პერსონალის და სტუდენტების კმაყოფილების კვლევით. პერსონალის კმაყოფილების კუთხით ფასდება მათი დამოკიდებულება აკადემიური განვითარების თუ თავისუფლების, წახალისების მექანიზმის თუ სასწავლო რესურსებით კმაყოფილების კუთხით. სტუდენტების კმაყოფილების კუთხით ფასდება მათი დამოკიდებულება რესურსების, ინფრასტრუქტურის, სასწავლო პროცესის თუ უსაფრთხოების კუთხით.

პერიოდულად ხდება პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. აღნიშნული მიზნით საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედარდა ხუთ ადგილობრივ საგანმანათლებლო პროგრამას და ოთხ ევროპულ უნივერსიტეტს.

სასწავლო კურსები 6 მიმართულებით არის დაჯგუფებული:

- პოლიტიკური ფილოსოფიის;
- საგარეო პოლიტიკის;
- საერთაშორისო ეკონომიკის;
- საერთაშორისო სამართლის;

- საერთაშორისო უსაფრთხოების;
- პროფესიული უნარების.

შრომის ბაზრის კვლევამ აჩვენა, რომ პროგრამის განვითარებისთვის საჭირო იყო პრაქტიკული კომპონენტის დამატება, რისი გათვალისწინებით სასწავლო კურსს დაემატა პროექტის წერა, კვლევის უნარები და საჯარო მეტყველება არჩევითი საგნების სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები,
- კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელო,
- პროგრამის წლიური შეფასების ანგარიში,
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები, შედეგების გათვალისწინების ანგარიშები,
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, ანალიზის შედეგების გათვალისწინების ანგარიში,
- სააუდიტორო საქმიანობის შეფასების ანგარიშები და შეფასების შემაჯამებელი ანგარიშები,

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის ცხრილი;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების შედეგები, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები,
- ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები, გამოკითხვის შედეგებზე რეაგირების ანგარიშები,
- საგამოცდო პროცესების შეფასების შედეგები, გამოკითხვის შედეგებზე საგამოცდო ცენტრის რეაგირების ანგარიშები,
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია,
- ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი,
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს

სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	V			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს ევროპის უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საერთაშორისო ურთიერთობები
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 58

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არს შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		V		
2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		V		
3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		V		
4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	V			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	V			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნინო ფავლენიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის:

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ფიქრია ასანიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა: გვანცა ძიძიგური